№ 103. 20 მაისი, ოთხშაბათი. 1866—1881 20 მაისი, ოთხშაბათი. № 103.

დროება

 გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

რედაქცია

გალავნის ბრანსპექტზეთ. ივ. მუხრანსკის სახლებში ალუბის ქვეშოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაში“ „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროებაში“ „ივერიის“ აგენტთან ი. ჭელიანასთან ხილაზე. კორეს მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

	წელიწადში.	6 თვეს.	3თვეს
დროება‘ და „ივერია“ ერთად	14 მან.	8 მ.	5 მ.
ცალკე „დროება“	9 მან.	5 მ.	3 მ.
ცალკე „ივერია“	7 მან.	4 მ.	2 მ.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 4 კაპ. [illegible] შოკრულით ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე შეთხუდი კაპ.

თუ ხაჭრობა მოითხოვს, რედაქცია გაუწყრება და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უფლოთ კარ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაში“ „ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

რადგან კვირა-ოთხშაბათს ჩვენი სტამბის ასოს-ამწყობთა და მბეჭდავებს ჩვეულებრივი სამლვთო ჰქონდათ, ამის გამო გუშინ, სამშაბათს გაზეთი არ გამოსულა.

ჰირველის მაისიდამ წლის დამლევამდინ

დროება

ღირს ექვსი მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავნის ბრანსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, ალუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ბ. იდია ჭელიასთან (სიღნაღზე, მირიან ჭელიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

ტელეგრამმები

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 16 მაისს. გუშინ მოვიდა აქ ასლად-დაბეჭდილი თეკელების დებეტატია. რომელსაც შეადგენს ხუთი კაცი, მათ შორის თეკელების ჯარის სარდარი — თიეშა-სარდარი. ამ სარდარმა მოიყვანა თან თავის ათის წლის გაჟი, რომელსაც ერთს აქაურ სამხედრო სასწავლებელში აძლევს.

პეტერბურღი 17 მაისს. „შმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ ოდესბურღის ბრინცი ბრანგელი ინის სასწავლებლის მზუნველად ინიშნება. სახელმწიფო ბანკის გამგებლის ამხანაგი დანიშნა ფინანსთ მინისტრის ამხანაგად. ხმა არის, რომ მალე სამხედრო ფორმა შეიცვლებაო.

ათინა, 16 მაისს. საბერძნეთი დათანხმდა ოსმალეთის პირობებზე და დანიშნა კომისარები საზღვრების გაყვანის დროს დასასწრებლად

ლონდონი, 16 მაისს. მიცესტოუნში, ირლანდიაში, ხალხსა და ჯარებს შუა შეტაკება მოხდა.

რომი 16 მაისს. შესდგება ახალი სამინისტრო (კაბინეტი) დეპრეტისა თავს-მჯდომარეობით.

ქუთაისის ბანკის ამბავი

სხდომა მეცხრე, 8 მაისს.

ველას ჰგონია, რომ დღეს გამგეობის თავს-მჯდომარეობის კანდიდატებს დასახელებენ და მაშინვე კენჭის-ყრას შეუდგებიან... დასსთა წევრთ ქრუანტელი უარსთ ტანში „ვაი თუ ლელო სხვას დარჩესო?!“ ერთი დასის მეკენჭე მეორისას რომ ხედება, გინდ „ძმა კაციც“ იყოს, „გამარჯვებით“ კი არ მიესალმება—„დილა მშვიდობისა“ ან „დღე ბედნიერებისას“ ეუბნება და ისიც „გაგიმარჯოს“ მაგიერ „იცოცხლეო“ ჰპასუხებს... დღეს ერთმანეთის დამარცხება გვინდა და „გამარჯვებას“ როგორ ვეტყვი, მოწინააღმდეგეს როგორ დავლოცავო! ასე სჯიან ყველა მათგანი...

ქრების დარბაზში მეკენჭეები უკვე შეკრებილნი არიან, მათი რიცხვი სულ 859 არის და კენჭთა რიცხვი 1139.

სანამ თავს-მჯდომარე გამოვიდოდა, ქრების კუთხიდამ-კუთხეში და პირიდამ პირში გადადიოდა შემდეგი „პატარა სკანდალის“ ამბავი: ვიღაც მეკენჭეს ხანჯლით „კიკინი“ მოუჭრია ერთის მეკენჭე ურიისათვის...

ერთმეტს საათზე გამოვიდა თავსმჯდომარე, გახსნა ქრება და რამოდენიმე სიტყვით მიჰმართა საზოგადოებას. დღეს უნდა შეუდგეთ გამგეობის თავს-მჯდომარის აღმოჩენას კენჭის ყრით. როცა კენჭს აგდებთ, ჯერ დაეკითხეთ თქვენს სინიდისს და მერმე ისრე უთხარეთ და უშავეთ რომელიმე კანდიდატსო, სთქვა მან,—ბანკი საზოგადო საქმეა, საზოგადო საქმეში უნდა დავიწყებული იქმნეს ყოველივე პირადობა, კერძოობა, ნათესაობა და პიროვნული ანგარიშები, პიროვნული ინტერესი. საზოგადო საქმეს უნდა ეუმსხვერპლოთ კერძო სარგებლობა, პიროვნული ინტერესები. ნუ იქნება დღეს ჩვენში ნურც ზემოურობა, ნურც ქვემოურობა—დღეს ერთნი ვიყვნეთ ყველანი და ვიქონიოთ მისაღწევნელი საგანი—გამგეობის თავს-მჯდომარედ ღირსეული კაცის აორჩევა. დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ უსამართლოდ ჩაგდებული კენჭი ყველაზე პირველად მოგვხდებათ თქვენვე ე. ი. იმ საზოგადო საქმეს, ბანკს, რომლის წარსამატებლად ამდენი თავად-აზნაურობა და სხვა პატივცემულნი პირნი დღეს შეკრებილხართ... ზოგიერთები ფხოულობენ სიტყვის ნებას თავს-მჯდომარისაგან, მაგრამ კრება არ ნდომულობს: — „კენჭიო!“ თხოულობს... ასახელებენ კანდიდატებს გამგეობის თავს-მჯდომარის თანამდებობაზედ... პირველ კანდიდატად თვითონ თავს-მჯდომარემ დასახელა ნ. ლოლაბერიძე. მეორე კანდიდატად დასახელეს დ. ბაქრაძე. ამ ორი კანდიდატების დასახელება არავის გაჭკვირვებია, რადგანაც ყველამ დიდი ხანია იცოდა, რომ ესენი აპირობენ კენჭის ყრას... შემდეგ დასახელეს დ. დადიანი, ქირილე ლორთქიფანიძე. მეხუთე კანდიდატად წამოაყენეს ნიკოლოზ ტარ. დადიანი. ამის დასახელებას არ მოელოდნენ. ზოგიერთები წარმოდგნენ და თქვეს, რომ ამ კაცს არ სურს სრულიად კენჭი იყაროსო.—თქვენ რა იცით, თუ არ სურს?—ჩვენ ვიცით, რომ კი ჰსურსო! თავგამოდებით იძახიან ისინი, ვინც ეს კანდიდატად დასახელეს.

„—ის კაცი ავად არის, თვალები სტკივა, დღეს ან ხვალ სამზღვარ გარეთ უნდა წავიდეს, სად შეუძლია ბანკის გამგებლობაო?! ჰპასუხებენ მათ.

ბოლოს წარმოადგინა თვით კანდიდატის ტელეგრამმა ტფილისიდამ, რომელშიაც კენჭის-ყრაზე თანხმობა გარკვეულად არ ყოფილა გამოთქმული. აი ეს ტელეგრამმა: „ჩემი პასუხი გუშინ გაცნობეთ, დღეს კიდევ რად მწერთ? მაცნობეთ დაწერილებით საქმის გარემოება“. აქ მოხსენებული „გუშინდელი“ ტელეგრამმა კაცმა ვერ წარმოადგინა... თავს-მჯდომარემ სხდომის დროსვე მისწერა ტელეგრამმა ნ. დადიანს, რომელშიაც გარდაწყვეტილს პასუხს სთხოვდა... სანამ ეს პასუხი მოვიდოდა, მანამ თავს-მჯდომარემ მოითხოვა, რომ დასახელებული კანდიდატები გამოცხადებულიყვნენ და პირადად გამოეცხადებინათ თანხმობა კენჭის-ყრაზე. პირველად გამოვიდა დ. ნ. ბაქრაძე და წარმოსთქვა შემდეგი:

„მე მსურს კენჭი ვიყარო და თანაც რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ... ხუთი წელიწადია მას აქეთ, რაც მე და ჩემი პარტია ამ ბრძოლაში ვართ... ეს ბრძოლა იმიტომ განეიზრახეთ, რომ გვსურს შეიცვალოს ის წესები და ჭახრაკები, რომელიც ბანკში და უფრო კი გარედ ტრიალებენ... მე უარს ვამბობ კენჭის-ყრაზე“...

ქრებაში მეიქნება ხმაურობა.

თავსმჯდომარე ზარს არაწკუნებს. ხმაურობა წყნარდება და დ. ნ. ბაქრაძე განაგრძობს:

„მე არ გამითავებია ჩემი სიტყვა... მე უარს ვამბობ კენჭის-ყრაზე, თუ ის ერთი კაციც... ნიკოლოზ ლოლაბერიძეც უარს იტყვის. და თუ ის იყრის კენჭს, მაშინ მეც ვიყრი... შეიძლება მე დღეს გავშავდე, მაგრამ შემდეგ კიდევ გამოვალ, შემდეგაც რომ გავშავდე, მერმისთვის კიდე ვიყრი კენჭს, და ასე ამ რიგ... ამასთანავე ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მე იმიტომ ვყრილობ კენჭს, რომ იმ პირთ შორის, რომელნიც ბანკის ეხლანდელ წესით არ არიან კმაყოფილნი, ჩემს მეტი არავინ გამოჩნდა იმისთანა, რომელიც დათანხმებულიყო კენჭის-ყრაზე“.

ბადმოდგა სცენიდამ ნ. ბ. ლოლობერიძე...

თქვენ წინ არის, ბატონებო, ჩემი ორი წლის მოკმეღება. თუ გნებავთ, მე მზად ვარ კვლავადაც თქვენის სამსახურისათვისო“...

სხდომა დაიხურა 4¼ საათზე ხვალ 11 საათამდე.

სხდომა მეათე; 9 მაისს

მეკენჭეთ რიცხვი იგივეა.

ნ. დადიანისაგან ტფილისიდამ თანხმობა მოვიდა: „ეუთმობ რა საზოგადოების თხოვნას, თანახმა ვარ გამგეობის თავს-მჯდომარეობაზე კენჭი ვიყაროვო“ ეწერა ტელეგრამმაში... ზოგიერთი ახლო ნათესავნი მისი და მათ შორის მ. ლ—ძე, აცხადებენ, რომ საზოგადოებას კი არ უთხოვნია, რაძდენიმე პირმა სთხოვეს კენჭის-ყრაო ნ. დადიანს, რომელიც ბაქრაძის მსხვერპლად გამოჰყავთო. ნ. დადიანის შემწეობით ისინი ჰფიქრობენ ნ. ლოლაბერიძის გაშავებას და ბაქრაძის თავს-მჯდომარედ წამოყურყუტებასო...

ხანგრძლივი ყაყანი და ყბედობა გამოიწვიეს ამ სიტყვებმა.

საქმე კენჭის-ყრამდე მიიწურა... მაგრამ როგორ უნდა უყარონ: ერთად თუ ცალ-ცალკე? ლოლიბერიძისტები თხოულობენ ერთად უყარონ ყველა კანდიდატებს კენჭიო და მოწინააღმდეგეთა კი ცალ-ცალკე ჰსურთ კენჭის-ყრა... ჩვეულებრივად, ვერ შეთანხმდენ ერთმანეთში „პარტიები“ და კენჭით ისურვეს კითხვის გარდაწყვეტა...

დღეს 12-დამ ნაშუადღევის 7 საათამდე ამ კენჭის-ყრას მოუნდენ. 633 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 405 გადაწყდა, რომ ხუთივე კანდიდატს ერთად ეყაროს კენჭი... ხვალ!...

წინა-ღამე კენჭის-ყრისა

ნახევარ ქუთაისს მაინც, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, ამ ღამეს არ დაუძინია... ველა, კენჭიანი თუ უკენჭო, მოხუცი თუ ჭაბუკი დიდს ფაცა-ფუცში და მზადებაში არიან: ხვალ იქნება თავ-გამოდებული, „სისხლის უკანასკნელ წვეთამდის შებმა“ საარჩევანო სასწორზე შემდგარ კანდიდატებისა, ხვალ იმერეთის წარმომადგენლები წარმოსთქმენ თავიანთ აზრს—თუ ვის უფრო ანდობს დღესდღეისად დასავლეთი - საქართველო თავის ერთად-ერთს ბანკსა... არც

ერთი სასტუმრო, რესტორანი თუ სამიკიტნო არ დაკეტილა მთელი ღამე, არც ერთს დასსთა მეთაურს ოჯახს რული არ მიჰკარებია... Ყოველგან აგიტაცია თავ-თავის კანდიდატისათვის, ყოველგან მოწოდება სინიდისისა და პატიოსნებისა... Იმისთანა კაცებიც კი, რომელნიც ამ ღამემდის გულ-გრილად უყურებდენ „საარჩევანო ბრძოლას“ და ამბობდნენ „ამას თეთრს მივცემ, სხვებს შავს, მეტი არაფერი შემიძლიაო“—ამისთანა კაცებიც-მეთქი ისე გაიტაცა სხვების ფაცა-ფუცის გადამდებმა ანდამატურ ძალამ, რომ, რაც შეუძლიანთ ცდილობენ ბევრი კენჭები უშოვნონ მათს სასურველს კანდიდატს...

„—ᲐᲠ დამღუპო, შენი ჭირიმე, შავში არ ჩაუგდო, თუ ჩემი საფლავამდე მტრობა არ გინდოდეს!“

„—ᲫᲛᲐ ძმისთვისა, ამ დღისთვისა, შავში შენ გენაცვალე ამას!“ ჩვეულებრივი სიტყვებია ამაღამ სასტუმრო-სამიკიტნოში თუ ოჯახებში კუთხე-კუთხედ მოჩურჩულე კენჭისანთა...

ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲓᲦᲔ, ᲡᲚᲓᲝᲛᲐ ᲛᲔᲗᲣᲠᲗᲛᲔᲢᲔ 10 ᲛᲐᲘᲡᲡ.

Დილის შვიდის საათიდამ ქალაქის ბაღში ტევა აღარ არის მეკენჭეთაგან, რომლების სახეზედ ცხადად წაიკითხავთ წუხანდელს უმძინარობას.. სიცილი და ხუმრობა, რომელიც წინა დღეებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო მოსეირნე კენჭოსანთა შორის, დღეს აღარ ჰსუფევს: ყველა ღრმა ფიქრით ჰფიქრობს, გამითეთრდება ჩემი კანდიდატი თუ არაო, გავიყვან ჩემს ნათესავს თუ ვერაო?

ბირჟაზე ფაეტონებს ველარ იშოვნით, ხუთი მანეთიც რომ ერთს მანძილზედ შეაძლიოთ: დაკავებული გახლავთ ᲙᲔᲜᲭᲝᲡᲐᲜᲗ—მეთაურებისაგან, რომელნიც გაცხარებულად დარიხინობენ თავ-თავიანთ „საარჩევანო უბანში“ მეკენჭეთა გასამხნევებლად და გადმოსაბირებლად...

Სხდომის გახსნამდი მოხდა სამწუხარო სკანდალი, რომელიც მკითხველმა უკვე იცის № 97 დაბეჭდილ ტელეგრამაში.

Ოერთმეტ საათამდე, როდესაც გაიხსნა კრება, მეკენჭენი რამდენიც კი ეტევიან დარბაზში თავ-თავიანთ ადგილს ბრძანდებიან. Ბალერეიაზე 300 მეტი მანდილოსნები და ბანოვნები თუ სხვდან, თუ დგანან... Ოეატრის წინ ქუჩაში და ეზოში დგანან ის მეკენჭენი, რომელნიც დარბაზში ვერ დატეულან და გარდა ამისა მრავალი გარეშე პირნიც, ასე რომ ამ ქუჩაზე ვერც ფაეტონი და ვერც ცხენი ვეველარ დადის...

Დაიწყო კენჭის ყრა 12 საათზე... ხუთი ყუთი დარაზმულად გაუწყვიათ სტოლზე... ᲫᲐᲮᲘᲐᲜ მეკენჭეებს... Იმისთანა სიჩუმეა დარბაზშიაც და გარეთ ქუჩაში და ეზოშიაც, რომ სავაჟო გიმნაზიასთანაც გარკვეულად გაიგონებ კაცი მეკენჭეთა ხმა-მაღლა დაძახებას და იმ „უთეთრე“ და „უშავეს“ ᲫᲐᲮᲘᲚᲡ, რომლითაც ჯერ გამოუხმობელნი მეკენჭენი. ისტუმრებენ კენჭის ჩასაგდებად დაძახებულს ამხანაგს.. ხუთასი კაცი, რომელნიც დარბაშზი მოთავსებით „ბედნიერნი შეიქმნენ,“ თვალით „ხვრეტენ“ ყუთებს, როცა მათში კენჭებს აგდებენ... „Ოეთრია“ მგონი?—„Შავია, შავი“, ყოველიე კენჭის ჩაგდების შემდეგ ჩურჩულებს მთელი დარბაზი, აქედამ ეზოში მყოფთ გადმოცემენ ამა-და-ამ მენკენჭემ ამა-და-ამ კანდიდატს უთეთრა ან უშავაო.

Ბავიდა ნაშუადღეევის სამი საათი, ოთხი, ხუთი, მაგრამ ოციოდე კაცის მეტს სადილის საჭმელადაც კი ფეხი არ მოუცვლია დარბაზიდამ და ქუჩიდამ. Არ დანძრეულა არც ერთი ქალიც გალლერეიდამ.

ᲩᲕᲔᲜ კიდევ კი, მაგრამ ეს ქალები რად იკვლენ აქ თავსო? Იკითხა ერთმა მოხუცმა მეკენჭემ.

Ბავიდა შვიდი, რვა საათი, ყველანი ფეხ-მოუცვლელად თავ-თავიანთს ადგილს სხედან, ან დგანან... Დარბაზში ლამპები გააჩაღეს...

Ცხრაზე გათავდა კენჭის-ყრა... მიჰყო თავს-მჯდომარემ კენჭის თვლას ხელი ნ. ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ ყუთიდამ. ᲕᲘᲜ იცის რამდენს უფათქალებს გული? მთელი დარბაზი სულგანაბული თვალყურს ადევნებს კენჭის თვლას: ᲐᲮ პირველი კანდიდატის კენჭის თვლით შეიტყობა ყველაფერი. ᲗᲣ გათეთრებულია, ძალიან გათეთრებული იქნებაო და თუ არა, ვერ გარეცხს ვერც რიონისა და მტკვრის შეერთებული ზვირთებიო. ამბობენ გამოცდილნი პირნი საარჩევანო ბრძოლებში. Სულ 1,111 კენჭია, ყველამ კარგად იცის... მივიდა ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ კენჭის თვლა 50ᲛᲓᲔ და ოპპოზიციის (მეგრელთაგან ოპპოზიციად გადაკეთებულ) წევრებმა შეხედეს ერთმანეთს...

„—ᲐᲠ შავდება მგონი, გაწყრა ღმერთი“, ანიშნებდენ ერთმანეთს.. მიაწიეს 55-მდე... ᲗᲐᲕᲘ მაღლა აწიეს ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ; დაითვალეს 600 და უნდათ „ბრავო“ დასძახონ, მაგრამ აჩერებენ მათ: ჯერ სადა ხართ მოიცადეთო, ბედი კიდევ წინ არის, ნუ ჩქარობთო. Ბათავდა თეთრის თვლა და ახლა კი ვერ შეიმაგრეს ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ მომხრეთ თავი და იმისთანა „ურა“ დასძახეს, რომ ბალახვანში მძინარეს გააღვიძებდა: 711 (შვიდას თერთმეტი) თეთრი ამოუვიდა მათს კანდიდატს...

ᲐᲛᲘᲡ შემდეგ ასი კაცის მეტი არ დარჩენილა დარბაზში, დაიშალენ; „გათეთრდა ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔᲝ“! მოჰფინეს ამბავად ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲡ. Მოგეხსენებათ მახარობლები არ დააკლდებოდა ხელმეორედ ამორჩეულ ნ. ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐ მახარობლებს აჯობა ერთმა თავადიშვილმა, რომელიც ისე იყო თურმე ᲦᲐᲛᲘᲡ გამარჯვებაზედ დარწმუნებული, რომ წინ-და-წინ ზურნა ჰყავდა დაქირავებული და როგორც კი კენჭის თვლა გაათავეს მაშინვე გაექანა ფაეტონში ჩამსხდარ მეზურნეებით ამორჩეულისკენ ზურნის კვრითა და სიმღერით...

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ კანდიდატის კენჭის თვლა გათავდა ღამის 11 საათზე. მოგვყავს ანგარიში რომელს კანდიდატს რამდენი თეთრი და შავი კენჭი ამოუვიდა:

	თეთრი		შავი
ნ. ბ. ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔᲡ	711	—	400.
დ. ნ. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔᲡ	— 468	—	643.
ნ. ტ. ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲡ	— 520	—	591.
Კ. ბ. ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔᲡ	394	—	716.
ᲓᲘᲛ. ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲡ	— 451	—	661.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

Სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს, ფილოქსერის მოსასპობელად, სახელმწიფო რჩევაში შემდეგი წინადადება შეუტანია დასამტკიცებელად:

1) Რუსეთისა და ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ სამზღვრებში შავი და ᲐᲖᲝᲕᲘᲡ ზღვით, აგრეთვე ხმელეთით აღიკრძალოს ვაზის ნერგებისა და აგრეთვე ყოველგვარ მცენარის შემოტანა;

2) Სახელმწიფო ქონებათა მინისტრს მიეცეს უფლება, რომ თუ სადმე ფილოქსერა გამოჩნდეს, გაგზავნოს სპეციალისტები (მცოდნე კაცები) ვენახების დასახედავად; თვითონ ვენახისა და ბაღის პატრონებს კი აღეკრძალოს, თავის საშუალებით, ფილოქსერის მოსპობა და

3) Დადგენილი იქნეს, რომ ვინც ფილოქსერის თაობაზე გამოცემულ წესდებასა და კანონებს არ შეასრულებს, გარდახდეს ჯარიმა 100 მანეთი და ან ციხეში ჩაიმწყვდეს ერთის თვის ვადით.

* * *

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ცნობა არის, რომ ᲑᲣᲨᲔᲗᲘᲡ უეზდის სოფ. ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲨᲘ გამოჩენილა კალია, მაგრამ ხალხი გამოუყვანიათ და თითქმის სულ გაუწყეტიათ.

* * *

Მთავარ-სამმართველოს სტამბაში იბეჭდება მეორე წინგნი Დ. Ჯ. ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲘᲡ ნათარგმნი „სქართველოს თავად-აზნაურთა გუჯრებისა.“

* * *

Ახალციხიდამ შემდეგ ამბავს გვწერენ:

„Მინდა რამდენიმე ამბავი გიამბოთ ერთ აქაურ სასამართლოს წარმომადგენელზედ. Ჩემდა საუბედუროთ, სწორეთ მაშინ შეეხვდი აქ, როცა ერთი აქაურს სასამართლოს მოსამსახურეთაგანი წარმოუდგენელ ურიგობას ჩადიოდა: გაეიარე ბაზარში, შეეხვედე მთვრალი ზის ფაეტონში ორის უნამუსოს ქალით და ერთის ამბით ხელების ქნევით მოაქროლებს ფაეტონს.

„Მე ამ ამბავმა ძალიან გამაკვირვა. ᲔᲠᲗᲘ ნაცნობი კაცი შემხვდა და ეკითხე, ეს ს—ოვი არ არის-მეთქი? მიპასუხა, ის გახლავსთო და დამიწყო მაზედ ლაპარაკი. ᲗᲣᲠᲛᲔ არა თუ პირველი, რატომ მეასედი არ არის ამგვარი იმის ქცევა.

„ᲐᲛ დღეებში კვდევეს ფაეტონით მოდის და ისევ ის პატიოსანი ქალები უზის, დილას 6 საათზედ შეხვდება ღვდელს, დააყენებს და ეტყვის შენდობა მომეცეო! Მღვდელი გადასწერს ხელით პირჯვარს. Მაგრამ თვითონ არ იკმარა, ახლა წარუდგენს ამ ორ პატიოსანს ქალებსა, ესენიც აკურთხეო. Საწყალ ღვდელს შეეშინდა და იძულებული იყო იმის ბრძანება აესრულებინა.

„Ახლა გადაჰკიდებია აქ რაღაც ცირკია და იქ ერთი მოთამაშე ქალი არის ᲐᲜᲢᲝᲜᲔᲢᲘ, რომელსაც გაარშიყებია. Შეუყრია რამდენიმე პაჟარნები და წარმოდგენის დროს შიგ შუა წრეში შეევარდა ცირკში ფაეტონით და ერთი ამბავი დაწია. ᲐᲛᲐᲡ არ დაკმაყოფილდა: მერე მოჰყვა და მიუსია ეს თავის მეკობრები, დაიწყეს კიჟინა, ყვირილი, დანგრევა; ერთი ამათგანს პოლიციამ წაავლო ხელი; იმან დაიძახა, რას მიზამთ, აქ არამყავს ს--ნოვი! ᲐᲛ დროს ამ ბატონმა ამოიღო ფული და აჩუქა, მაშინ უფრო მაღლა დაიწყეს ყვირილი:—გაუმარჯოს ს—ვს, გაუმარჯოს! ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲡ მიუბრუნდება და ეტყვის: რამდენიც გინდათ, პროტოკოლი შეადგინეთ, ს—ვი აქ არ გვყავსო“.

გამგეელი.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ, 12 მაისი. საზოგადოება იმ ზომამდის არის შეწუხებული ზუგდიდის მაზრაში ქურდებისა და ავაზაკებისგან; წესისა და რიგის დამცველები იმ ზომამდის შეუპოვარნი არიან ამ ბოროტ-მოქმედებათა წინააღმდეგ და იმათი ღონისძიება ისე ცოტათ ეხმარება ამ ბოროტების შემცირებას, რომ მეტი ღონე არ არის!

ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲐ, ᲪᲐᲠᲪᲕᲐ, შინ მიხდომა, ეკლესიის გატეხა, თოფის სროლა, ტირილი, კივილ-წივილი, სულ ყველა ეს ერთის კუთხიდამ მეორე კუთხემდის გაისმის მთელ მაზრაში. ᲐᲛ დიდი ბოროტების წინააღმდეგ სულ ცოტა ღონისძიებააქ ხმარებული. ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ან ხევის-თავები არიან, ან პოლიციას განსაკუთრებითი, მკაცრი ყურადღება აქვს მიქცეული ამ ბოროტებაზე; აქ კი ყველაფერი ღვთის ნებაზეა მიშვებული. ᲐᲥ სატუსალოდამ ვამოქცეული და კატორღაში გაგზავნილი ავაზაკები ისე უშიშრათ დასეირნობენ, ვითომ მათ თავზე არაფერი არ იყოს. ᲘᲡᲘᲜᲘ თამაშათ და აშკარათ დაიარებიან ამ მაზრაში; თითქმის ყოველ შეკრებულებაში ესწრებიან, ხშირად იმათ თვითონ პოლიციის ჩინოვნიკები ხედვენ, მაგრამ სადაც პოლიციის ჩინოვნიკები ყურადღებას არ აძლევენ, უბრალო ხალხმა რა უნდა ჰქნას. ᲐᲡᲔ გასინჯეთ: ერთმა კატორღაში გასაგზავნმა, რომელიც ეხლა თავს იფარავს ზუგდიდის მაზრაში, მთელს ᲚᲘᲘᲡ საზოგადოებას თხოვნა დაუწერა რევიზორის მისართმევად, როგორც ეს თითონ რევიზორმა შეიტყო ბოლოს.

მოვიყვან რამდენსამე დამამტკიცებელს ფაქტებს; რამდენსამე მარტო, თორემ თუ სულ ყველასი აღწერას შეუდექით მაშინ „დროების“ გ. მარტო ჩვენ უეზდს მოუნდება. სოფელს ქუდისკარში არის სასწაულთ-მომქმედი წმიდის ბიორგის ეკკლესია. ბასრულს თებერვლია თვეში, ერთა საღამოს, ერთი უცნობი კაცი მოვიდა კარის მღვდელთან, მაგა ეგნატე როგავასთან და უთხრა, რომ ავათ-მყოფი მოუყვანია ჩამოსალოცავად წმიდის ბიორგის ხატისა და სთხოვა ეკკლესიის კარის გაღება. თუმცაღა მღვდელს ეთქვა, შვილო, აწი ეკკლესიის კარის გაღება უდროვო არის, ხვალ დილამდის მოითმინეო, მაგრამ უცხო კაცს ისეთის სასოებით ეთხოვა თუ კი გაისჯები, მამაო, და კარს გამიღებ ეკკლესიისას ჩემი ავათმყოფი ძმა არ მომიკვდება ეკკლესიის კარზე მიყვანილიაო, რომ მღვდელი დათანხმებულა და როცა სამთლებისათვის მოუკიდნია და ავათ-მყოფის შემოყვანა ეთქო, ამ დროს შამოცვენილან თვრამეტი ავაზაკები ყველა პირის სახე ახვეულნი კაბალახებით და ეთქოთ მღვდლისათვის შენ გაჩუმდი და ხმა არ ამოიღო, თორემ თავს მოგჭრითო. საცოდავი მღვდელი გაშეშებულა შიშით და დაეწყო ცახცახი. ავაზაკებს წმიდის ბიორგის ხატი ჩამოუსვენებიათ და დაუფიცნიათ შემდეგის სიტყვებით:

ამისმა მადლმა ამიერიდან ერთმანეთს არ უღალატოთ, რასაც ვიშოვით ნაქურდლათ, ან ნატაცებათ ერთი მეორეს არ გადუმალოთ,

�овнули

ცებს, რომ მომავალ არჩევანის შემდეგ ბამბეტტას საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტობა ერგებაო.

— ორი ივლისი არის ის დღე, რომელსაც, რესპუბლიკის სახელობით, დღესასწაულობენ დიდის ამბვით საფრანგეთში; ამ დღეს არის დანგრეული ბასტილიის ციხე. ამ ჟამად დიდ მზადებაში არიან ფრანცუზები და საფრანგეთის სხვა-და-სხვა საზოგადოებები ამ დღისთვის გამოგზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს პარიჟში.

განცხადებანი

—

თბილისის საადგილ-მამულო ბანკის ზალაში, კვირას, 24 მაისს, დილის თერთმეტ საათზე. იქნება ფლიური საერთო კრება ფერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა.

საგანი კრებისა არის:

ა) წასრული წლის ანგარიშის მოსმენა.

ბ) საზოგადოების წევრთა არჩევა.

გ) მომავალ წლის გასავლის სიის დამტკიცება. (4—1)

ნამდვილი პირველი სორტის ხიზილალა ბოჟი ჰრომისლისა ფინოევის და კამ. ნაუიდი რომლის წინათ ექვს აბაზათ იყიდებოდა, ახლა ოთხ აბაზათ ვეიდით შუაბაზარში, ოქრომჭედლების პირ-და-პირ ბეგლარ ქოჩოროვის დუქანში ძეორე სორტის ხიზილალა იქვე სამ აბაზად ისყიდება. (3—3)

თფილისის ქალაქის

გამგეობისაგან.

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ მაისის 22-ს იმის თან-დასწრებით, ქალაქის გამგეობის კანტელარიაში იქნება გაჭრობა (ტორგი) საწონის გარდასახადს ოვარათ გაცემაზედ.

ვისაც დაწერილებითი პირობების (კონდიციების) შეტყობა ჰსურს, შეუძლიან მიმართოს უბრავის კანცელარიაში ძუდამ დღე, უქმეებს გარდა, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ.

(3—3)

უზთაისში, ბერარდის წიგნის მალაზიაში ისყიდება რუსული წიგნი

ГРУЗИНСКІЕ ЦЕРКОВНЫЕ ГУДЖАРЫ

(ძარი)ული საეკლესიო გუჯრები)

გამოცემული დიმ. პ. ფურცერაძისაგან ფასი თითო წიგნისა ექვსი აბაზი.

(5—3)

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო

ბანკის გამგეობისაგან

თფილისის გუბ. თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა, 17 თებერვალს 1881 წელს უმაღლესად დამტკიცებულის წესდების მე-16 მუხლის ძალით, აცხადებს, რომ ამ 1881 წლის 13 ივნისს, შუადღეზე, ქალაქს თბილისში, ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, ნ. ბორღანოვის სახლებში № 3, იქნება საზოგადო გასყიდვა, განუმეორებელად, ქვემოხსენებულ პირთ უძრავ მამულებისა, რომელთაც არ შემოუტანიათ თავის დროზე ხვედრი გადასახადი ამ ბანკიდამ აღებულის სესხისა ბანკის წესდების § § 13, 14, 15, 17, 18, და 19 მუხლებით დადგენილი:

არეშოვი, ნიკოლოზ სამოსნის-ძე: ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი თან ადგილი სივრცით 26 ოთხ-კუთხი საჟ. და 1 არშინი. ძ. თბილისის 1 განყოფილების მე-5 უბასტკაში. თავნი ვალი 3,127 მან. 48 კაპ., შემოსატანი 379 მან. 80 კაპ. სულ სამი-ათას ხუთას შვიდი მან. და 28 კაპ.

ალენიკოვისა, სალომე აგაფონის ასული: ორ-სართ. ქვით-კირის სახლი, თან ორ-სართულიანივე ქვით-კირის ფლიგელი და ადგილი 88 საჟ. $^1/_2$ ოთხ-კუთხი არშინი. თფ. 1 განყოფ. 1 უბასტკაში, დავიდოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 3,615 მან. და 76., შესატანი 257 მან. 37 კაპ., სულ—სამი ათასრვაას სამოც-და-ცამეტი მან. და 30 კაპ.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული: ა) ერთ-სართულიანი ქვით-კირის დუქანი, ბ) ორი სამ-სართულიანი ქვით-კირის დუქანი, ორი ორ-სართ. ქვით-კირის დუქანი და გ) თერთმეტი თითო-სართულიანი ქვით-კირის დუქანი, თან ადგილი 276 ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისში: ა) 1 განყოფ. მე-7 უბასტკაში და 2 განყოფ. 14 უბასტკაში, ჩოღურეთში. თავნი ვალი—16,270 მან. 96 კაპ. შემოსატანი—1075 მან. 90 კაპ. სულ—ჩვიდმეტი ათას სამას ორმოც-და-ექვსი მან. და 86 კაპ.

სლინკო ანნა ივანეს ასული: ორი ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, თან ადგილი $111^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. თფ. 2 განყოფ. 11 უბასტკაში, ალექსანდრეს ქუჩაზე, თავნი ვალი—18,078 მან. 83 კაპ., შემოსატანი—965 მ. სულ—ცხრამეტი ათას ორმოც-და-სამი მან. და 83 კაპ.

გაბუნია, მერაბ აგაფონის-ძე: ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი დუქნებით, თან ადგილი 125 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ბორში. თავნი ვალი—2,711 მან. 83 კაპ., შესატანი 180 მან. 95 კაპ., სულ—ორი-ათას რვაას ოთხმოც-და-თოთხმეტი მან. და 78 კაპ.

მირუმოვი, არშაკ ოდანეზას-ძე: ა) სამ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და ბ) ორი ერთ-სართულიანი სახლი, თან ადგილი $241^1/_2$ ოთხ-კუთ. საჟ. თფ. 2 განყოფ. 14 უბასტკაში ალაბარში. თავნი ვალი—3,255 მან. 31 კაპ., შემოსატანი—302 მან. 44 კაპ., სულ—სამი ათას ხუთას ორმოც-და-შვიდი მან. და 75 კაპ.

ზარაფოვი სტეფანე იაგორის-ძე: ა) სამ-სართულ. ქვით-კირის სახლი სამ-სართულიანივე ფლიგელით და ბ) ორ-სართულ. ქვით-კირის სახლი სარდაფი, თან ადგილი $279^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. თფ. 2 განყოფ. 10 უბასტკაში, ვარანცოვის წყლის-პირა ქუჩაზე. თავნი ვალი—36,560 მან. 82 კაპ. შესატანი 1,919 მან., სულ—ოც-და-თერამეტი ათას ოთხას სამოც-და-ცხრამეტი მან. და 82 კაპ.

ზასიევი დავით ბოგოვის-ძე: ერთ-სართ. სახლი დუქნით, თან ადგილი—$27^1/_5$ ოთხ-კუთხი საჟ. თფ. 1 განყოფ. 1 უბასტკაში, დავიდოვის ქუჩაზე. თავნი ვალი—365 მან. და 61 კაპ., შესატანი—39 მან. 44 კაპ., სულ—405 მან. 5 კაპ.

დავიდოვი, გეო დავითის-ძე: ორ-სართულ. ქვითკირის სახლი, თან ადგილი—50 საჟ. თფ. 1 განყოფ. 1 უბასტ. ულახელო ქუჩაზე. თავნი ვალი—1645 მან. 24 კაპ., შესატანი—108 მან. 51 კაპ., სულ—1753 მან. 75 კაპ.

ბაგლიევი, იაკობ სიმონის-ძე: ორ-სართულ. ქვითკირის სახლი, თან ადგილი—72 ოთხ-კუთხი საჟენი, თფილისში 1 განყოფ. 5 უბასტკაში, ნემეცების ქუჩაზე თავნი ვალი—5,477 მან. 37 კაპ. შესატანი—773 მან. 93 კაპ., სულ—6251 მან. და 30 კაპ.

სლინკო, ეკატერინა ივანეს ასული: სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით და სხვა შენობებით, თან ადგილი $313^3/_4$ ოთხ-კუთხი საჟ. თფილისში, 1 განყოფ. 1 მიხაილოვის უბასტკაში. თავნი ვალი—25,609 მან. 15 კაპ., შესატანი—2,449 მან. 78 კაპ., სულ—2,815 მან. და 93 კაპ.

ფუდინოვი, ისაკ ნიკიტის-ძე: ორი სამ-სართ. ქვითკირის სახლი ორის სამ-სართულიან ფლიგელით, ადგილი—156 ოთხ-კუთხ საჟენი და 7 არშ. თფილისში ნორაშენისა და საანაურო ქუჩების კუთხეში. თავნი ვალი—17,126 მან. 77 კაპ., შესატანი 1,338 მან. 10 კაპ., სულ—18,464 მან. 87 კაპ.

ტიტიანოვი, დავით ივანეს-ძე: ცარიელი ადგილი, სივრცით—300 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისში 2 განყოფ. 11 უბასტკაში. თავნი ვალი—1,172 მან. 18 კაპ., შესატანი—68 მან. 24 კაპ., სულ—1,240 მან. 42 კაპ.

ალექსეევ-მესხიევი, მიხეილ დიმიტრის-ძე: სამი ნაჭერი მიწა 178 დესიატინა 840 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ. და უეზდში, სოფ. ახალ-ლაბას. თავნი ვალი—3,911 მან. 7 კაპ., შესატანი—180 მან. 60 კაპ., სულ—4,091 მან. 67 კაპ.

ერისთავი გიორგი გიორგის-ძე: სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები 243 დესტ. და 1263 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ. თელავის მაზრაში, ქისტიაურს. თავნი ვალი—7,822 მან. 15 კაპ., შესატანი—350 მან. 20 კაპ., სულ—8,172 მან. 35 კაპ.

შარგაშიძე, გრიგოლ ალექსანდრეს-ძე: სახნავ-სათესი, სათიბი ადგილები და ტყე, 1093 დესიატ. 950 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ. და უეზდში, სოფ. ლრეს, ზვერს და ცხოულეთს. თავნი ვალი—10,102 მან. 74 კაპ., შესატანი—447 მან. 72 კაპ., სული—10,550 მან. 46 კაპ.

ავალიშვილი ივანე ზაალის-ძე: სახნავ-სათესი და სამოსახლო ადგილები, 151 დესიატინა და 300 საჟ. თფ. გუბ. ბორის უეზდში, სოფ. ბრეთს. თავნი ვალი—8,827 მან. 59 კაპ., შესატანი—572 მან. 40 კაპ., სულ—9,399 მან. 99 კაპ.

ტიტიანოვი, კირილე ედიშერის-ძე: სახნავ-სათესი, საბალახე ადგილები და ტყე, 840 დესიატ. 600 საჟ. თფ. გუბ. და უეზდში, სოფ. ახალალეს (იგივე ძამაი). თავნი ვალი—15,741 მან. 26 კაპ., შემოსატანი—1,433 მ. 30 კაპ., სულ—17,174 მან. 56 კაპ.

ბერესელიძისა, ანასტასია გრიგოლის ასული: სახნავ-სათესი, საბალახე ადგილები და ტყე, 104 დესიატ. 1200 საჟ. თფ. გუბ. და უეზდში, სოფ. ბოძა. თავნი ვალი—2,591 მან. 48 კაპ., შესატანი—191 მან. 24 კაპ., სულ—3,142 მან. 72 კაპ.

ვახვახოვისა, ეკატერინე გრიგორის ასული: სახნავ-სათესი ადგილი და ტყე, 302 დესიატ. 555 საჟ. თფ. გუბ. თელავის მაზრაში, სოფ. ბონდოლთან. თავნი ვალი—2,960 მან. 17 კაპ., შესატანი—135 მან. 91 კაპ., სულ—3,096 მან. 8 კ.

ქარუმიძე, ივანე ბაატას-ძე: სახნავ-სათესი ადგილი 34 დესიატ. 1320 საჟ. თფ. გუბ. ბორის მაზრაში, სოფ. თორტისს. თავნი ვალი—986 მან. 73 კაპ., შესატანი—53 მან. 40 კაპ., სულ—1,040 მან. 13 კაპ.

ერისთავი, გრიგორ ბაგლეს-ძე: სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები და ტყე, 422 დესიატ. 1160 საჟ. თფ. გუბ. ბორის მაზრაში, სოფ. ბვარებს. თავნი ვალი—3,958 მან. 16 კაპ., შესატანი—273 მან. 50 კაპ., სულ—4,231 მან. 66 კაპ.

ოუმანოვისა, ბარბარე ივანეს ასული: სახნავ-სათესი ადგილები და ტყე, 292 დესიატინა და 1502 ოთხ-კუთხსი საჟ. თფ. გუბ. და უეზდში, სოფ. ზოდორეთს. თავნი ვალი—6,895 მან. 84 კაპ., შესატანი—301 მან. 19 კაპ., სულ 7,197 მან. 3 კაპ.

ორბელიანი, ვახტანგ ვახტანგის-ძე: სახნავ-სათესი საბალახე და სათიბი ადგილები და ტყე, 1,292 დესიატ. და 1,600 საჟ. თფ. გუბ. და უეზდში, აბულმაყს. თავნი ვალი—5,953 მან. 64 კაპ., შესატანი—372 მან. 20 კაპ., სულ—6,325 მან. 84 კაპ.

(3—2)

(დასასრული შემდეგში.)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Маія 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: იო. ჭავჭავაძე და ს. მესხი.